სსიპ - დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევა რეგულირების მექანიზმები

გორი
2018 წელი

მუხლი 1 . რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) აკადემიური კეთილ-სინდისიერებისა და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევებს.

მუხლი 2 . ზოგადი დებულებები

1. აკადემიის პერსონალისა და იუნკერის/მსმენელის მოვალეობაა, გაუფრთ-ხილდეს აკადემიის რეპუტაციასა და პრესტიჟს.

2. აკადემიის „ეთიკის კოდექსის“ მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, აკადე-მიის პერსონალს ეკრძალება სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი/მათ შორის დაცვის მიზნით მომ-ზადებული, წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების/ თეორიების, ცნებების, სტატიების მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდო-ლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთა-რის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე. (პლაგიატი).

3. აკადემიის პერსონალს ეკრძალება საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყე-ნება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად (თვითპლაგიატი).

4. აკადემიის პერსონალს ეკრძალება საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენება, დაჯგუფება, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნა. (კომპილაცია)

5. აკადემიის პერსონალს ეკრძალება ნაშრომში მონაცემების ცვლილება, მონაცემებით მანიპულირება, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენება, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას. (ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია).

6. აკადემიის პერსონალს ეკრძალება საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურება დამფინანსებელის ხელშეკრულების, აკადემიის სამართლებრივი აქტების, შიდა რეგულაციების და პროფესიულ ან დის-ციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად. (სამეცნიერო შედეგების განადგურება).

მუხლი 3. პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევებისას

1. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის აკადემიის პერსონალი და იუნკერი/მსმენელი წინასწარ უნდა იცნობდეს:

ა) აკადემიის შინაგანაწესს;

ბ) აკადემიისათვის მისაღებ აკადემიური წერის სტილს (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი და ა.შ., რომელიც გაწერილია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში;

გ) აკადემიის ეთიკის კოდექსი.

2. აკადემია, თავის მხრივ, ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს კვლევითი საქმიანობის ეთიკურობას და დროული რეაგირება მოახდინოს აკადემიური პერსონალის ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე.

3. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საკითხი განიხილება აკადემიის შინაგანაწესისა და აკადემიის ეთიკის კოდექსის შესაბამისად.